ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ორშაბათი, 30 ივლისი № 1539

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე ოსიფოვის სახლი № 1.

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე.

ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—9)

ტელეფონი № 741.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, „Фармацевтика“.

დაარსდა ქალაქ ტფილისში

პირველი ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. შეიძლება გადაღება ძველი ნაწერების ნიმუშებისა, სიგელებისა და სხვ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ გადასაღები დედანი ფოსტით გამოგზავნონ. გაკეთებული კლიშე გაეგზავნებათ ფასის ზედ-დადებით. (1000—10)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის არის 40 თავისუფალი ვაკანსია პირველ განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან ბავშვები 7—8 წლამდის. ამ განყოფილებაში შესვლის მსურველს უნდა შეეძლოს ამოკითხვა და ანბანის წერა ქართულად. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება. ამისდა მიხედვით თხოვნები მიიღება მხოლოდ პირველ განყოფილებაში ბავშვის მიბარების მსურველთაგან.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 მარიამობისთვემდის. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნას შემდეგი საბუთების ქაღალდები: წლოვანების, აზნაურიშვილობის და ყვავილის აცრის. ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა მოხდება 27—28 აგვისტოს, ხოლო მიღება პირველ განყოფილებაში ამავე თვის 31.

მოსწავლემ სკოლაში მოსვლისათანავე უნდა წარმოადგინოს ნახევარი წლის სწავლის ფული 5 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნილ იქმნება სკოლიდან. სწავლა დაიწყება 1-ლ ენკენისთვეს. (3—1)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლის“-ს ნომრები.

ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე. კვირა უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ბ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. მაჭავარიანი—თვალისა 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფელდშტეინი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ხონის დედათა მარიამის

სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ განმეორებითი ეგზამენები ამ სასწავლებლის მოსწავლეთა იქნება 25, ხოლო მისაღები—27 და 28 აგვისტოს. თავისუფალი ადგილები საკმაოა როგორც მოსამზადებელ, ისე მაღალ კლასებში. თხოვნები მიიღება პირველ აგვისტოდან. (ნ. 5—3).

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა იწვევს მსურველთ

(ქალებსა და ვაჟებს)

სცენაზე სამსახურისათვის

(მსახიობებათ)

მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კონტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზე) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (ნ. 5—3)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

აღმოსავლეთ-ციმბირის მე-12 პოლკის პორუჩიკი ბაქრაძე გადაყვანილ იქმნა მე-9 პოლკში.

ლეიბ-გვარდიის სემენოვსკის პოლკის კაპიტანი ქავთარაძე დანიშნულ იქმნა ქ. გაჩინოს პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებლად.

სამოქალაქო უწყებას:

თერგის ოლქის შტატს გარეშე ბეითალი ლორთქიფანიძე დაინიშნა სოფელ ურუსბიევოს პირუტყვთა სადგომის ბეითლად.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტს მრავალი ექსპონატები მისდის ყოველ დღეს კავკასიის ყველა კუთხეებიდან; ამ დღებში, სხვათაშორის, მიიღეს ექსპონატები ნახიჩევანისა, შარუროდარალაგეზისა, ეჩმიაძინისა, ნოვობოიაზეთისა და სხვ. მაზრის გამოფენის კომიტეტებისაგან; საექსპონატო ნივთებს შეადგენს: აბრეშუმები, მატყლი, ხალიჩები, და სხვა საფენები, თესლეულობა, ღვინო, ტყავი და სხვა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში დაადგინა, იმ 300.000 მან., რომელიც ბელგიის უსახელო საზოგადოებამ გამოუგზავნა ქალაქს პირვანდელ სესხის რიცხვში, აიღოს 150,000 მან. ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად, შესაკეთებლად და დანარჩენი 150 ათასი მან. უკანვე დაუბრუნოს უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს.

✦ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, 27 ივლისს ქ. ქუთაისში მოხდა შეერთებული სხდომა ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა კომისიებისა, რომელთაც მინდობილი აქვთ თავად-აზნაურობისაგან მომავალ საიუბილეო დღესასწაულის მოწყობის საქმე. ამ სხდომაზე შეუმუშავებიათ იუბილეიზე სხვა და სხვა საპატიო პირთა მოსაწვევ ბარათის შინაარსი, რომლის შესახებაც დეპეშით უცნობებიათ პეტერბურგში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილისათვის.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდვია 100,000 მან. მიმდინარე წლის ნახევარში ამიერ კავკასიის ბეითალთა და საბეითალო დაწესებულებათა მოხელეების შესანახ ხარჯად.

✦ გაზეთ „კავკაზ“-ის ცნობებით, 12 და 13 ივნისს სეტყვამ დააზარალა სოფლებ ენისელსა, გრემსა, ალმატსა, აღდგომასა, შილდასა და ყვარელში სულ 829 დესეტინა ნათესი და 380 დესეტინა ვენახი; ზარალი სულ 38,135 მანათისა იქნება.

პროვინცია

ქიზიყი. „კოკა წყალზე უნდა გატყდეს და ქურდს ბნელი ღამე, როცა იქმნება, უნდა გაუთენდესო“—მართლაც და გაუთენდათ ჩვენს ქურდბაცაცებს. ამ ერთ კვირაში ორი ქურდი გაბაწრეს. დაიჭირეს კარდენახის გზაზე ებრაელი მოშიაშვილის გამძარცველები და ნაძარცვიც იპოვეს. გაძარცვის დროს დაჭრილი კარდენახელი მაქრო ჩალათაშვილი ნუკრიანში (სიღნაღის გარეთ უბანია) ექიმბაშ დედაკაცის სახლში თურმე წამლობდა. ეს გაიგეს ბოქაულმა და ხამოაბრძანეს სიღნაღში და დაამწყვდიეს. ეს ის ჩალათაშვილია, რომელსაც ამ რამდენისამე წლის წინად მღ. ასათიანის მოკვლა ბრალდებოდა და გამართლდა. ამასვე თურმე ტფილისში დარაჯი შემოჰკვდომია და ბევრიც სხვა ავკაცობა ჰქონია ჩადენილი. კინტოურად აცვია, მოკლე ახალუხი, განიერი შალვარი და პრტყელი ქამარი—ზედ არაფერი ჰქონდა-რა და ჯიბეშიაც სამი უომარის სათამაშო კოჭი აღმოაჩნდა სხვა არაფერი. დანაშაულს არ აღიარებს და ამბობს—მე გზაზე შემხვდნენ ქურდები, გამძარცვეს, 30 მან. ფული ამომაცალეს ჯიბიდან, ებრაელის ცხენი გამომატაცეს და მითხრეს—არსად არ გაგვცეო. ცხენი რომ მომყვანდა, წინ მდევარი შემეხვნა და თოფი დამცესო. შეშინებულმა გავუშვი ცხენი და გამოვიქეცი ნუკრიანში ჭრილობის მოსარჩენადაო. მეორე დატუსაღებული, ხარაზის ბაკურციხელი—დარჩიაშვილი, რომელიც გაძარცულმა ებრაელმა იცნო. ეს დარჩიაშვილიც თავის ვენახში დაიჭირეს. ეს დაწვრილებით ამბობს, როგორც მოხდა გაძარცვა. თავი და თავი ილიაშვილი კი გაუსხლტათ და არ უვარდებათ ხელში. ეხლა იმას თათრები უშოვნია ამხანაგებად და ამბობს თურმე—სამი კაცის ჯავრი მჭირს, ვიდრე ჯავრს არ ამოვიყრი, არ დავეწყნარდები და არც სხვას ვერჩი რასმე, თუ არ შემაწუხესო. ამათი მხრით ხალხი დამშვიდდა, მაგრამ ახლა სხვა თავზარის დამცემი გამოუჩნდა ქიზიყს. ეს გახლავთ რუსო თვალმიხელაშვილი, ციმბირიდან გამოქცეული. ისე დღე არ გავა, რომ რაიმე ბოროტ-მოქმედება არ ჩაიდინოს. ამ მოკლე ხანში რამდენიმე კაცი გაძარცვა და რამდენსამეს კიდევ ისე გული გადმოუბრუნა შიშისაგან. ორჯერ მოალანეს თურმე დარაჯებმა, ერთხელაც ბოქაულმა, მაგრამ გაუსხლტათ და წაუვიდათ ხელიდან. დიდი შიშის ზარი დასცა უკანამხრის ქიზიყის სოფლებს ამ თვალმიხელაშვილმა.

სიღნაღი. 25 მკათათვეს სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში კონცერტი იყო გამართული სატყვედ-მოქმედო მიზნით. თუმცა საუმაწვილოს ეძახოდნენ, მაგრამ დიდები უფრო ბლომად დაესწრნენ და თვით კონცერტიც უფრო დიდებისთვის იყო მოწყობილი თავის პროგრამით, ვიდრე ყმაწვილებისთვის. სრული შემოსავალი 180 მანეთამდე არის. ეს ფული უნდა მოხმარდეს სამოქალაქო ვაჟების და ქალაქის მარიის საქალებო სკოლის შეუძლებელ ბავშვებს.

წელს სიღნაღელებს ავი ზაფხული დაუდგათ. ღამის სიცხეებმა სული ამოხუთოს სახლებში, გარეთ გამოვლენ კიდევ და მტვერი ახრჩობთ. მაგრამ ბუნებას კიდევ უძლიანდებოდნენ და სადამოთი მაინც გრილდებოდნენ ღამის სიოთი.

ახლა კი უფრო სულის შემხუთველი თვით მოქალაქეებმავე გამოიგონეს. სიღნაღში ყველა სიდნაღურათა ხდება და აი ერთი დახვეწებული ქუჩის გასწორება ნაგვითა და საქონლის ფეხით განიზრახეს. რაც წელს საქონლის სადგომებში და ქალაქში უწმინდურება იყო, სულ აქ ჩაჰყარეს. ეხლა ვიღაცას ჭკუა უხმარია და ამ სიბინძურისათვის ცეცხლი გაუჩენია. ამ ნაგვის ცეცხლის სუნმა ისე მოირბინა მთელი ქალაქი და ისეთი მძაფ სუნი მოჰფინა, რომ ყნოსვა უძნელდება ადამიანს. ამ სიცხე-პაპანაქებაში სწორედ ეს-და აკლდა და ესეც გაუჩნდა სრული «ბუკეტის» შესადგენად.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში რამდენიმე სტრიქონი აღვწერო. სიამოვნებით წავიკითხეთ «ცნობის ფურცლის» № 1529-ში დასტამბული წერილი ბ. ჯორჯაძისა «სახალხო სამკითხველოებზე». ბატონი ჯორჯაძე აგონებს «წერა-კითხვის საზოგადოებას», რომ საჭირო ბიბლიოთეკების გახსნა ქალაქის განაპირა უბნებში, (ავლაბარში ჩუღურეთში და ხარფუხში), სადაც ეხლა ამის მსგავსი არა მოიპოვება. მართლაც, ჩვენ, ავლაბრელები, მოკლებულნი ვართ წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების წაკითხვას და ხან რითა და ხან რით ვირთობთ თავს. «მართალია, დაარსეს ერთხელ ავლაბარში «სახალხო სამკითხველო», მაგრამ რა? გარედან წარწერილი კი ვნახეთ «წ. კ. გ. ს. იაფ-ფასიანი სამკითხველო;» მაგრამ ესეც ისე მალე ჩამოიღეს, რომ ვერც კი მოვასწარით შიგ შესვლა. «წ. კ. გ. საზოგადოებისათვის» საყურადღებო უნდა იყოს ის გარემოება, რომ დიდი უმრავლესობა აქ მცხოვრებლებისა ხელოსანი ხალხია, ჯიბე თხელი და სურვილიც რომ ჰქონდეს, წიგნს ვერ იყიდის და გაზეთს ვერ გამოიწერს. აქეთკენ არ იმართება არასოდეს სახალხო წარმოდგენები, არა აქვთ ერთი სასეირნო ადგილი, სადაც შეეძლოთ თავისუფალ დროს მოისვენონ.

რამდენიმე სიტყვა ქართულ სექციასაც. გასულ სეზონებში სახალხო წარმოდგენებს მოშორებული ნაწილი ავლაბრიდან ესწრობოდა ხალხი. ამ სიშორე გზის გავლის შემდეგ წარმოდგენა თითქმის ჰკარგავდა მათთვის მნიშვნელობას. ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ უალაგობისაგან ამდენი გზის გავლის შემდეგ დაღონებული დაბრუნებოდნენ სახლში. ქართული სექცია მოვალეა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას, მით უფრო, რომ აქ კაი მოხერხებული შენობაა დროებით წარმოდგენებისათვის. ვგონებთ, ეხლა კი დრო არის, მომავალ სეზონიდან აქაც დაარსონ სახალხო წარმოდგენები და თუ რამდენათ იქნება სასარგებლო ეგ ორი ზემოხსენებული დაწესებულება ხალხისათვის, ეს ყველასათვის აშკარაა, და თუ რამდენ ხალხს მიიზიდავს, შემდეგში გამოაშკარავდება.

ლ. მოგოსოვი.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

28 ივლისს.

პეტერბურგი. 28 ივლისს პეტერბურგში მოვიდნენ და პეტერგოფისაკენ გაემგზავრნენ პრინცესსა ბატენბერგისა, ჰერცოგინა ჰესსენისა ვიქტორია, მეუღლე ლიუდვიგ ბატენბერგელით.

28 ივლისს ალექსანდრე ნეველის ლავრის სასაფლაოზე დაასაფლავეს სახელმწიფო ქონებათა მინისტრად ნამყოფი სტატ-სეკრეტარი ოსტროვსკი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. წუხელის და დღეს დილით სორმოვოში ორ ადგილას ცეცხლმა 60-მდე სახლი გაანადგურა.

ლონდონი. 27 ივლისს კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: ბრანდფორტის ახლო მდებარე ბლოკჰაუზი სასტიკი ბრძოლის შემდეგ აღებულ იქმნა 26 ივლისს. 1 ინგლისელი მოჰკლეს და 3 დასჭრეს.

კონსტანტინეპოლი. დღეს ელჩებს თათბირი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ოსმალეთის ადგილობრივი მოხელეები ხშირად ერევიან საერთაშორისო სასანიტარო საბჭოს საქმეში.

ობერ-ცერემონიიმეისტერმა იბრაჰიმ ბეიმ პორტის სახელით წარუდგინა საფრანგეთის ელჩს ახალი წინადადებანი სტამბოლის ზღვის სანაპიროების შესყიდვის შესახებ. ელჩმა უარჰყო ეს წინადადებანი და განაცხადა: მტკიცედ ვთხოულობ, რომ ეს დავა გადასწყდეს თანხმად ჩემის პირობებისა.

ფილიპოპოლი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იქ დააპატიმრეს ბევრი სომეხი, რომელთაც უპოვეს რევოლიუციონური წერილები. ამბობენ,—სომხებს იმისთვის აპატიმრებენ, რომ ხონთქრის ტახტზე ასვლის წლის თავზე უწესოება არა მოხდეს რამე.

პეტერბურგის ბირჟა 27 ივლისს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94.00
ბერლინზე 100 მარკაში	46,02½
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1898 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	424 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	328¼ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	227½ გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	91¾ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	91¾ „
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: სათოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) სათოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოდ. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბნჩითახოვისა, ავადმყოფებ უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუქით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში. (80—13)

ეტიუდები თ. ხუსკივაძისა ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили. (10—10)

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

თხზულება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსია არის: ორმოცდა ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულს ხარჯზე და 2—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთების ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ ჰსურთ შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთა ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერი კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ—მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20 მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему дворянской школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ში მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—6.—9)

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი,** ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ. Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюля 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.